

სხდომის თავმჯდომარე: კონსტანტინე კუბლაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები –
შოთა გეწაძე, მალხაზ გურული, ლაშა ლანდაძე, კახა კობერიძე,
მამია ფხაკაძე, გიორგი შავლიაშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე,
ვალერი ცერცვაძე

**1. დღის წესრიგის პირველი საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმის დამტკიცება**

(მომხსენებელი: ცერცვაძე, თანამომხსენებელი ვ. გავაშელი)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებლად წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმას. გეგმა პუნქტობრივად წარმოადგინა ვ. გავაშელმა.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხს (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 აპრილის №1/57 გადაწყვეტილება).

**2. დღის წესრიგის მეორე საკითხი: მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის
დანიშვნა**

(მომხსენებელი: ცერცვაძე, თანამომხსენებელი თ. სულაქველიძე)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ მიზანშეწონილია დაინიშნოს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის საგაზაფხულო სესია აპრილ-მაისში. კონკრეტულ თარიღებზე და საორგანიზაციო საკითხებზე განმარტება გააკეთა თ. სულაქველიძემ.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 აპრილის №1/58 გადაწყვეტილება).

**3. დღის წესრიგის მესამე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გადაწყვეტილების პროექტი „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების
წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/207-2007
გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

(მომხსენებელი: ცერცვაძე, თანამომხსენებელი ვ. პავლაძე)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/207-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. მიზანშეწონილია, რომ საგამოცდო პროგრამიდან ამოღებულ იქნას კანონთა მუხლობრივი ჩაშლა, რაც იწვევს გადაწყვეტილებაში ხშირი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვა ვ. კუბლაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების შემოთავაზებულ ფორმულირებას სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 აპრილის №1/59 გადაწყვეტილება).

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“

(მომხსენებელივ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესით ინერგება სასამართლოს მოხელეთა შერჩევის ახალი სისტემა.

გადაწყვეტილება პუნქტობრივად წარმოადგინა გ. პავლაძემ.

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვეს კ. კუბლაშვილმა, ვ. ცერცვაძემ და ლ. კალანდაძემ.

შენიშვნების გათვალისწინებით სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას. (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 აპრილის №1/60 გადაწყვეტილება).

5. დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

(მომხსენებელივ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N1/310 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის გადაწყვეტილების 18-20 და 22-ე მუხლებში.

გადაწყვეტილება პუნქტობრივად წარმოადგინა გ. პავლაძემ.

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვეს კ. კუბლაშვილმა, ვ. ცერცვაძემ.

სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას (იხ. საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 3 აპრილის №1/61 გადაწყვეტილება).

6. დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: საქართველოს მთავრობის 2012 წლის №57 და №64 დადგენილებების შესაბამისად საერთო სასამართლოების სისტემაში ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების მინიმალური სტანდარტების დანერგვა

(მომხსენებელივ. ცერცვაძე, თანამომხსენებელი გ. პავლაძე)

ვალერი ცერცვაძემ სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის №57 და №64 დადგენილებების შესაბამისად საერთო სასამართლოების სისტემაში აუცილებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემების მინიმალური სტანდარტების დანერგვა.

გ. პავლაძემ აღწერა ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებში უკვე დანერგილი ელექტრონული პროგრამების ძირითადი მოდულები.

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ ეს საკითხი განხილულ იქნეს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომა დასრულდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი: ვ. ცერცვაძე

სხდომის მდივანი: თ. სულაქველიძე